

6  
572  
1990

17  
96010940  
002-0100000



2 11-2 000000000000 W. 0000

572

## გზას შესახებ დედაძინა

მარი ბოლქვაძე

შესე შესახებ დედაძინა,  
შესა — წუაროს სინათლისას:  
— კაბას როდის შემკურავ  
წითელ-ყვითელ ატლასისას?  
შესე დიდ თვალებს აბრჭყვიანებს:  
— აგერ, აგერ,  
თებურვალს რომ ჩავათავებ,  
ნემსზე სხივის ძაფს ავავებ:  
ისეთ კაბას შემკურავ  
ფარჩისას და ატლასისას,  
ზედ რომ დანჩეს თვალი ეკვლას,  
რომ არ ეცვას არავისა.

19324



# სიყვარულის გუდა

თამაზ ბიბილაძე

ღამე ისე გავიდა, ანიკოს არაფერი გაუგია.

დილით, როგორც იცოდა ხოლმე, ყივი-ნით წამოხტა, მაგრამ ჩაახუმეს და უთხრეს, პაპა მოკვდაო.

ღედა ტირილდა.

მამა ეზოში კაცებს ჩუმად ელაპარაკებოდა.

მერე — ხან ერთი მეზობელი მოვიდოდა, ხან მეორე, დიდ ოთახში შევიდოდნენ და ტირილდნენ.

ბებო არა ჩანდა.

ანიკომ დიდ ოთახში ჩუმად შეიხედა. პაპა ოთახის შუაში, ვიწრო ტახტზე იწვა და თეთრი ზეწარი ფიცინა.

ბებო თავთან ეჯდა.

ბებომ ანიკო დაინახა და ტირილი დაიწყო.

ქალებმა ბიჭს ხელი მოჰკიდეს და გარეთ გამოიყვანეს.

მერე მოდიოდა და მოდიოდა ხალხი. ქალები ხმამაღლა ტირილდნენ. კაცები ქუდს მოიხდიდნენ, დიდ ოთახში შევიდოდნენ, ისევ

უკან გამობრუნდებოდნენ, ეგრევე, ქუდმოხდილები, კარგა ხანს იდგნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

ანიკო ეზოში დარბოდა, ტოლებთან ერთად თამაშობდა. ბიჭები ერთმანეთს ხმამაღლა გადასძახოდნენ და ქალები ტუქსავდნენ, ჩუმად იყავით, რა გაყვირებთ, არ იცით, პაპა რომ მოკვდაო?!

მესამე დღეს უფრო იმატა ხალხმა.

შუადღისას გრძელი ყუთი გამოიტანეს და ანიკო გაოცდა: ყუთში თვალებდახუჭული პაპა იწვა. ხელები გულზე დაეწყო და თითქოს ზეცას შეხედავდა.

პაპა მართლა მომკვდარა, პაპა სადღაც მიჰყავდათ...

მერე ბიჭმა ისევ იჯერა გული თამაშით. ფოსის ცხენზე გადაჯდა და ამხანაგებთან ერთად მთელი სოფელი შემოიბრინა. შინ რომ დაბრუნდა, დაღლილი იყო, გაოფლილი და სახელანძული.

ხალხი უკვე აღარ ჩანდა.

ეზოში გაშლილი გრძელი მაგიდები აელაგებინათ.

საქართველოს  
განმანათლებლო  
სისტემა



მზატვარი ზაპარ ღიზისაძე

მარტო ნათესაელებილა დარჩენილიყვენენ. შუშაბანდში ისხდნენ შავად ჩაცმული პაპიდები და ბიჭს ალერსით შემოსცქეროდნენ.

— პაპა ხად არი? — იკითხა აიკოში.

პაპიდებმა ცრემლი უხმოდ მოიწმინდეს. იქვე მჯდარმა ბებომ ტირილი დაიწყო. პაპიდებმა დატუქსეს, ღმერთს ნუ სცოდავ, რწლა დროს ტირილია, მზე უკვე ჩავიდაო.

ბებო დაწინარდა, ცრემლები მოიწმინდა, ანიკო იხმო, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა, პაპა საიქოში წავიდა და აღარასოდეს აღარ დაბრუნდებაო.

— სულ აღარასოდეს? არც ხვალე, არც მერეო? — ეწვინა ბიჭს.

ბებო ისევ ატირდა.

ახლა ანიკომაც დაიწყო ტირილი.

მას მერე ერთი დღეც გავიდა, მერეც, მესამეც... გავიდა გაზაფხული, ზაფხული და პაპა აღარ დაბრუნებულა.

ათასში ერთხელ, როცა ბიჭი იცეღქებს და ბებოს გააბრაზებს, ბებო გაბუტული მიჯდება კუთხეში, დაღონდება და ერთბაშად იტყვის:

— დაიცა, მეც მალე წავალ პაპაშენთან, აღარ გვეოლები და მერე გაგახსენდება.

ამ სიტყვებზე ანიკო დაღონდება და ბებოს შორიდან გასცქერის. მერე ისევ მოუხლოვდება და როცა დაოჯერებს, ბებოს წყენამ გადაუარაო, ის დღე ისევ მზიარულად მთავრდება. ანიკოს ეწიზლება ის რალაც საიქოა და ცოტა ეშინია კიდევ. გადახედავს ბებოს, კუთხეში მოკუნტული მხალს რომ არჩევს, და შიშით გაიფიტრებს, ბებოც არ წავიდეს იქაო.

ამის გაფიქრებაა და ბიჭი წამოხტება, ბებოს მივარდება, კალთაში ჩაუჯდება და დამჭკნარ ლოყებს უკოცნის.

ბებო იცინის და ანიკო ეხვეწება: კიდევალ, ერთხელაცო...

ბებო უჯერებს, ბიჭი კოცნის, კოცნის ბებოს... გაკვირვებული და ბედნიერი ბებო კი იცინის:

— რა სიყვარულის გუდა გაგისკდა, ბიჭო?

... და ანიკოს უხარია, რომ არაფერ არაფერი იცის.



## სულ ფხდაფხს შაგოვივილი


ანზორ აბულაშვილი

აგერ ჩუნი უველაშმინდა,  
 ნიკორშმინდა,  
 ნინოშმინდა,  
 მეც კურცხალი სიხარულის  
 ღანაღუშით გადმოშვეივდა.  
 აგერ წმინდა გიორგია,  
 იქით —  
 წმინდა მარიამი,



ერთიანული  
ნიგლინიძე

მხატვარი გიორგი როინიშვილი



დიღის მსეში გახვეული,  
 სულ ოქროს ცვარ-ნამიანი.  
 მე თავს ვუხრი წინაწართა  
 ხელით ნაგებ ტამარს ეოველს,  
 ნათღის მთოველს:

კვირაცხოველს,  
 ძელიცხოველს,  
 სვეტიცხოველს.

ვერ სადა ხართ!  
 თუად ნახავთ,  
 თუ ვარ საქართველოს შვილი,  
 ჩვენს ტამრებს და ციხე-კოშკებს  
 სულ ფხდაფხს შემოვივლი.



# აკაკი წერეთლის სმოვრება

ბივი გავაქაქორი

მზატვარი ელზარ აბოშაძე

აკაკი და სხვიტორელი  
გლეხები

აკაკის გული მუდამ სხვიტორისაკენ მიუწევს. იქ შინაურებიდან მხოლოდ უფროსი და ანა და უფროსი ძმა დავითრია ხვლებიან. ანას დედამ მკურნალობა ასწავლა და ავადმყოფებთან ახლა ის დადის.

გლეხ გიორგი ზაბახიძის მოგონება: ათი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი, დიდი სამთარი იღვა, დედამ თავი ასტივდა და გვიოხრა, ანასთან მიდიო, წამალი გამოართვით, იქნებ მიშველოსო. მე და ჩემი ძმა ილიკო წავედით, ერთი აბაზი გავვატანეს. ცუდად გვეცვა. ქალამნებში წყალი და თოვლი შედიოდა. მივედით სასახლეში. კართან ავიტუშეთ, ოთახში შესვლა ვერ გაგებდეთ. ვხედავთ, ბუხარში ცეცხლი გუზგუზებს, დაბად სკამზე კი აკაკის და — ანა, და აკაკი სხედან. ანა ჩვენკენ შემობრუნდა და გვკითხა, რა გინდათ, რისთვის გამოგაგზავნეს? ვუთხარიო. აკაკიმ თავზე ხელი გადავისვა, თან ჩვენს ქალამნებს დაჰყურებდა. როცა ანა შემოვიდა და წამალი შემოიტანა, მე დედას გამოტანებული აბაზი გავუწოდე. ანა, გეთაყვა, აბაზს მე მოგცემ, მაგ ბავშვებს ნუ გამოართმევო, უთხრა აკაკიმ, ჯიბიდან ორი შაური ამოიღო და გამოგვიწოდა, სახურეში წადით, თქვენს აბაზს ეს ორი შაურიც დაუ-

მატეთ და ქალამნები იყიდეთ. ჩვენც სახურეში წავედით და ექვს შაურად ქალამნები ვიყიდეთ...

სხვიტორელი გლეხის ივანე ცქიტიშვილის მოგონება: აკაკის ოჯახში მოურავად რომ ვიყავი, ერთი მელა შემოგვეყვია. ერთხელ, საქათმეში რომ შევიდა და ქათმები ატკრციოდნენ, გავიგონეთ. საქათმის კარი დავეკეტე, მელა დავიჭირეთ და აკაკის მივუყვანეთ. აკაკიმ გვიოხრა: თუ გიფარდეთ, არ მოკლათ, გაუმვითო, ამის გაშვება როგორ შეიძლება, ქათმებიდან სულ გავცვალა-თქო, ვუთხარიო. თქვენ საქათმე კარგად გააკეთეთ და თუ კიდევ წაიღოს ქათმები, ცოცხალს ნუღარ გაუშვებთო, შემოგვხვებწა აკაკი.

ერთხელ სხვიტორელ გლეხებს არჩვი დაუჭერიათ, ეზოში შესულან, მისაღმებიან აკაკის, რომელიც ნა-

სადილევს სახლის წინ სეირნობდა, და უთქვამთ, ბატონო, ეს არჩვი თქვენთვის მოგვირთმევიო. აკაკის მადლობა გადაუხდია, უსაუბრია. გამოშვებობებისას კი უთქვამს, ეს არჩვი ამ ეზოში გაუშვით. სამჯერ უკან თუ მოიხედა, მაშინ აღარსად წავა და თუ ერთხელ შეტად არ მოიხედა, მაშინ ნამდვილად არ დაბრუნდება და გაიქცევაო. რა თქმა უნდა, გაუშვიათ. არჩვიმა ერთი კი მოიხედა და ისე მოკურცხლა, რომ მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთო, ყვებოდნენ თურმე სხვიტორელები.

აკაკი სხვიტორში რომ წაიდა, გლეხებისათვის საჩუქრები წაიქვს და უთვლის, მნახეთო. გლეხებიც სიფარულით ხვდებიან, ესაუბრებიან, რწვას კითხებიან. სასახლეში მისულებს აკაკი უსადილოდ არ უშვებს. ბავშვი იქნება თუ





დიდი, იმის ოთახში რომ შვეა, აკაკი მაშინვე ფეხზე წამოდგება და სკამს თავისი ხელით მიუტანს. სოფელში ერთი საწყალი კაცია, ფილიას ეძახიან. აკაკი დაუძახებს ხოლმე, ჩემო ფილია, აქ მოდი და სადილი აქა ჭამე. ხომ ვიცი, არც არაფერი გაგახნია და კიდევ რომ გქონდეს, გამკეთებელი არაიენ გვაყვსო.

მთხრობაში „სოფელ ალის აოხრება“ აკაკი წერს: „როცა ჩემს სოფელში ვარ ხოლმე, ძალიან მიყვარს მოხუცებულ სოფელებთან საუბარი. იმათ ქვევასა და სიტყვა-პასუხს ისევ ძველებური ქართული სული უღდასო“.

აკაკი დილაობით რძეს მიირთმევს ან ჭიქა ჩაის, სიცხეში კი მურაბიან წყალს სვამს. ხილში განსაკუთრებით უურძენი უყვარს, საჭმელებში კი — ღობით. გლეხის ქალის ნატალია მაჭარაშვილის მოგონებით — ღობიის პარკი რომ შეჭკნებოდა, მიმაყენებდა და გამარჩევინებდა. ჭინჭარიც

უყვარდა, ჩამოვიდიოდა თუ არა, მეტყოდა, ჭინჭარი გამიკეთო.

აკაკი საჭმელს მუდამ ხელით ჭამს... უყვარს, როცა ჩონგურზე უკრავენ... უყვარს ნედლი კაკალი და არასოდეს სამტერეკს არ ხმარობს, რაც უნდა კერკეტი ნაჭუჭი ჭქონდეს კაკალს. საკუთარი კბლით გაურტყავ კაკალს გემო არა აქვსო, — ამბობს. გრძელი, ღამაში თითები და ხელები აქვს, თვალები თაფლისფერი, სახე — მეტველი და ნათელი. იშვიათად განრისხდება, და მისი პასუხი ის არის, რომ ხელს ჩაიქნევს. როცა აგრილდება, აკაკი ებოში ვამოღის, ხალიჩაზე წამოწევა, წიგნებს კითხულობს და ხან ღუქსებსაც წერს. სხვიტორში, თავის ოთახში ჩაკეტილი, ზამთრის სამ თვეში დაწერს ის პოემა „თორნიკე ერისთავს“.

**„თორნიკე ერისთავი“**

აკაკი ამ პოემაში აცოცხლებს საქართველოს

ძველ დიდებას — მეფე დავით კურაპალატის დროს, როცა ქართველებს ჩვენი დიდიგუნული ჰყავდათ მუდღს ვერავინ უბედავდათ.

ამ დროს ბიზანტიას აოხრებას დაუპირებს სპარსეთის მმართველი ბარდასკლიაროსი. ქერივი დედოფალი თეოფანია, რომელსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავს, სასოწარკვეთილია, მაგრამ კარისკაცები ურჩევენ, ქრისტიანული ქვეყნის — საქართველოს მეფეს, დავით კურაპალატს მივმართოთ და ის დაგვხმარებაო. იმასაც ეტყვიან — მეფესთან მოციქულობა ვიხოვოთ უღუშბოს მთაზე ბერად შემდგარ ქართველს, თორნიკესო.

საქართველოს ყოფილი მხედართმთავარი თორნიკე ერისთავი ბიზანტიის დედოფლის თხოვნით საქართველოში წავა. საქართველოში ჯარს შუაგროვებენ და მთავარსარდლობაზე თორნიკეს დაიყოლიებენ. გამოცდილი მეომრის სარდლობით ქართველები სასტიკად დაამარცხებენ სპარსელებს.

ბიზანტიიდან საქართველოში დაბრუნებულ ჯარს მეფე დავით კურაპალატი ქაღაჩე არეთ დახვდება. თორნიკე ერისთავი მეფეს ბიზანტიის დედოფლის სიგელს მიართმევს, რომლითაც ბიზანტია ზემოქვეყნებს საქართველოს უთმობს, თორნიკეს კი დიდი განძით აჯილდოვებს. თორნიკეს უნდა მეფეს და ქერივობლებს გადასცეს განძი,

მაგრამ მეფე იუარებს. მათ საუბარში ჩაერევა გაბრიელ ხალოსი, ეს ძღვენი ათონის წმინდა მთას კუთვნიის, თორნიკე იქ დაბრუნდეს და მონასტერი ააშენოს, რომ წირვა-ლოცვაში მოიხსენიონ ბრძოლაში თავშეწირული ქართველებით. ამასთან ათონის ივერთა მონასტერში მეცნიერებისა და მწიგნობრობის ღამპარი უნდა აინთოსო...

... საბერძნეთში, ათონის მთაზე, იმ მონასტერში, სადაც თორნიკე ერისთავი მოღვაწეობდა, ახლაც ინახება მისი ნაქონი ჯაჭვის პერანგი.

### ლიმბრიო ჟივიანის

მკვლელობა.

სასტუმროდან

სასტუმროში.

1886 წლის 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიის შესამე კლასიდან გამოიცხადი შვედრი იოსებ ლადიაშვილი მოკლავს სემინარიის რექტორს — ჩუდუკის. ამის გამო ვვზარქოსი პავლე დასწევლის იოსებ ლადიაშვილს და

მის მშობელ ქვეყანას. საქართველოს და ქართველი ხალხის ღირსების დასაცავად ქართველ თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი წერილს მისწერს ვვზარქოსს. ამბობენ, რომ თქვენ ის ქვეყანა, რომელიც თქვენგან მხოლოდ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა, დაგიწყველიათ. იმასაც ამბობენ, რომ თითქოს იმ უცოდველიესი სიტყვის გამო, ვანზრახვა გაქვთ, ქართველი ერის წინაშე ბოდიში მოიხადოთ. და თუ ეს მართალი არ არის, ღირსებას მხოლოდ იმით გადაირჩენთ, თუ საქართველოდან სამუდამოდ წახვალთ...

ამ წერილის გამო დიმიტრი ყიფიანს სტავროპოლში გადაასახლებენ და იქ კერავლად მოკლავენ. ეს ამბავი ქართველ ხალხს თავზარს დასცემს. დაკრძალვის დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულნი მოიყრიან თავს თბილისში. დიმიტრი ყიფიანს მთაწმინდაზე აასვენებენ და გამოსათხოვარ სიტყვაში აკაკი წერეთელი მას საქართველოში მორე დიმიტრი თვითდაბულს უწოდებს. ხუროთმოძღვრულად კი მის ხსოვნას უძღვნის ლექსს „განთიადი“.

... აკაკი ხან თბილისშია, ხან ქუთაისში, ხან — სხვიტორში... არც ქუთაისში და არც თბილისში მუდმივად ბინა არა აქვს. ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობს, ხან — მკორეში. სახელმწიფო სამსახურზე უარს ამბობს და თავს ფუტკარს ადარებს. ფუტკარი მუდამ დაბზუის, აქეთ-იქით დაფრინავს. ერთ ადგილზე იმის მუშაობას ვერაფერს ხედავს. მაგრამ იმის ნამუშევრით კი სარგებლობენ... რომ დაიჭიროს, დაამწყვდიონ და ის ისარი ამოგვლიჯონ, რომლითაც ფუტკარი მუშაობისას ხელის შემშლელს იჭერიებს. მშვიდობიან, მოსვენებულ და უწყინარ არსებად გადაიქცევა. მაგრამ ჩვენ არც თაფლი გვკვჩნება და არც სახთელი, რომელიც ბნელს გვინათებსო... „თუმცა იმდენად არა. მაგრამ შედარებით ცოტათუნად კი ჩემი თავი შეც პატარა, ძლიან პატარა ფუტკარად მიმანიაო...“







არასან ფიკალური

როცა დიდი გავიზრდები,  
ასეთი მაქვს ფიქრები,  
ეველა კლასში მოწინავე,  
სუთოსანი ვიქნები.  
ქართულს, რუსულს შევიცნავდი,  
ვიჭიკჭიკებ, ვიმღერებ,  
წარმატებით, წარწინებით  
მუდამ ევლს მოვიღერებ.  
გავახარებ ჩემს დედიკოს,  
ასეთი მაქვს ფიქრები,  
ეველა კლასში, ეველა კურსზე  
სუთოსანი ვიქნები.



თავისი დედისთანავე

იოსებ აფციაური

ობოლამ, კარგუნელამ,  
მაუპირამ, სუჭუჭანამ,  
ბუკუკამ ველი შვიანი  
მსხვილი ცრემლებით დანამ.  
დედას დაემებს ლამაზსა,  
დაუღამდება სანამ.  
ვერ დააწენარა წუარომა,  
ვერც მიიყენა უანამ.  
ტუილაღ მიურბენინა  
პურის ნატეხი ანამ,  
ვერ დაძინა ზღაპარმა,  
ვერც ტკბილმა იყენანამ.  
რამ დაუამოს ტკივილი  
თავისი დედისთანამ?



მხატვარი ლალი ლომთაძე

თინათინ ჭაჭია



ცისფერთვალა ბატი ანას ბებიასი არ იყო. ანა ამას ძალიან განიცდიდა. ანას ბებიასაც ანა ერქვა და ორივე ისე ტკბილად ცხოვრობდნენ, გვეგონებოდათ, ტოლები არიანო.

პატარა ანას ადრე გაზაფხულზე ჩამოიყვანდნენ ბებიასთან და გვიან შემოდგომამდე მასთან ტოვებდნენ. ამიტომ ანუკამ იცოდა, გრძელი თეთრი გოგრა შავ ბალზე რომ იყო ჩამოკიდებული; ეწოს ბოლოს, ბამბუკებში რომ ზღარბები ცხოვრობდნენ, ისევე ერთად იყვნენ თუ მოზრდილმა ზღარბებმა ახალი სახლი ააშენეს, ცოტა მოშორებით, ბებერი ურთხმელის ძირში; რომ იმ ურთხმელის ძირშივე პქონდა პამაკი გაბმული შავ, ყვითელ-ზოლიან თბობას და დილაობით მარგალიტებივით აბრწყინებდა ზედააყრილ ცვარს.

ანას მეგობრები იყვნენ ფერფლისფერი მამალი, რომელსაც ფრთები და ბოლო ლურჯი პქონდა; ძაღლის ლეკვი ცქცილო, ჯერ კიდევ სულუღურად რომ იქცევდა და, ბებიას თქმით, შემოდგომაზე მოჭკვიანდებოდა, და მეზობლის ბატი. დიან, ეს ის ბატია, ცისფერი თვალები რომ აქვს, მაგრამ რა ვინდათ, პატრონი ჰყავს ავი და როგორც კი გაიწვიდის ანუკა მოსაფერებლად ხელს, ის ავი ქალი მაშინვე შეაგდებს თავის ბატს საბატეში.

ცისფერთვალა თურმე არავის შეუნიშნავს არც ბატი, არც ინდაური და არც ქათამი. რა ხართ ეს ბებია და შვილიშვილი, საიდან იპოვით ხოლმე ამდენ უცნაურ რამეებსო, ამბობდნენ სხვები. განგებ მოდიოდნენ სანახავად, თითქოს არ ხჯვროდათ. დააკვირდით, იქნებ თქვენცა გყავთო, ეგეთი ბატით, ნეტავ რა არის ამაში უცნაურიო, ეუბნებოდნენ ბებია და ანუკა. ისინი კიდევ — ია, ერთი ახლა ბატის და კვატის თვალები გვათვალეოვებინეთო. გაოცებულები იყვნენ, რაღა იმ ავი ქალის საბატეში განჩნდა ასეთი თეთრი, თოვლის ფიფქოვით ნაზი და ცისფერთვალა ბატით. ის ავი ქალი მარტოხელა იყო. ბებიამ და შვილიშვილმა გადაწყვიტეს, მისულიყვნენ და ეთხოვათ, სხვა ბატში გადაეცვალათ ცის-

მხატვარი ბასი ხიდაშელი



ფერთვალა, მაგრამ ავი ქალი სხვა ავი ქალე-  
ბოვით იყო, მათგან არაფრით განსხვავდებო-  
და, სულ არაფრით. და ამიტომ უარი უთხრა.  
ის კი არა, შაბათს უნდა დაგვკლა, ტყუილებით  
მომდიანო. ბუბიამ უთხრა: — კი მაგრამ, ეს  
შარშანდელი ბატი უფრო დიდი არ არისო?  
— რას ლაპარაკობ, სხვისი ბატი რაში  
მჭირდებაო.

— სხვისი არც ჩვენ გვინდა, მაგრამ ხომ  
ხედავ, ბატი ცისფერთვალეა და ბავშვს  
უყვარს, თან ნახე, რა ჭკვიანია, ტყუილებრ-  
ადა არც სისინებს. ბატსაც უყვარს ბავში,  
მთელი დღე ბადის ღობეს აწყდებოდა.

— არა და არაო. უნდა დაგვკლა შაბათს,  
რა ბავში და ბატი, მოგცლიათ ერთიო.

მაშინ იყო, ცისფერთვალა ბატმა სისინი  
რომ დაიწყო. მთელი დამე არ ეძინა, ბადის  
ღობეს აწყდებოდა ფრთებით და ანუკას ფან-  
ჯრებისაკენ იყურებოდა. ბუბიამ თქვა:

— შაბათამდე ერთი დღე დარჩათ.

შაბათს დილით, გარიჟრაჟზე, ანა ბუბიამ  
გოცნებულმა გადახედა ცარიელ ღობის და  
მაშინვე აივანზე გავიდა, თან შაღს იხურავდა  
და ბუტბუტებდა: ეს გოგო გამაგიჟებს, ნუთუ

იმ ბატთან წავიდაო.

პატარა ანას მეზობლის გვერდითა სამე-  
ზობლო კარი გაეღო, ცისფერთვალა ბატი  
ხელში ეჭირა და თან რაღაცას ეწურწულე-  
ბოდა. მერე საბატის სახურავზე დასვა, ხელი  
აუქნია და, ჰოი, საოცრებაჲ! თეთრმა ბატმა  
ყელი გედივით გაიწვიინა, ფრთები აიქნია და  
აფრინდა. ნელ-ნელა სულ მალდა და მალდა  
ადიოდა, მერე მუშტის ტოლა გაჩა და სად-  
ღაც თეთრ ღრუბლებში გაუჩინარდა.

იქნებ არ გჯერათ? — კი ბატონო, თქვენი  
ნებაა, მაგრამ ერთს გირჩევთ: თუ დიდი ხა-  
ნია სოფელში არ ყოფილხართ, წადით, გაი-  
არეთ სოფლის მიწდგებზე, კარგად დააკ-  
ვირდით თეთრ ბატებს და აუცილებლად  
იპოვით ცისფერთვალა ბატს, თორღ ხმა არ  
ამოიღოთ მის პატრონთან ჩუქებაზე, გაცე-  
ლაზე ან თუნდაც იმაზე, ცისფერთვალა ბა-  
ტი რომ მყოლია, თორემ ვინ იცის, იმ მარტო-  
ხელა ქალს ჰგავდეს... მაშინ ცისფერთვალა  
ბატსაც გაქცევა არ ახცდებოდა, თუმცა რა, სა-  
ბატში თოვლის გაფრენა არ სჯობია? რა  
უნდა თოვლის ფიფქვით თეთრ და ცისფერ-  
თვალა ბატს საბატეში?!

# სიბღარა

პუჩია ჩხატინი

შეე რომ ამობრიალდება,  
ხუმს შთაწმინდას შიადგება,  
ხამოახვეს ნისლის ნიღბს,  
ზედ დაადგამს თქროს ჯიღს.  
აინთება ნარიუალა,  
მეტეხი და ქართულის დედა  
და კვლავ ვიგრძნობ,  
რად მიუვარან,  
რა ღვთის მადლი დანდით ზედა  
საქართველოს ციხე-ბურჯებს,  
საფლავებს და სალოცავებს,  
ან ქარი რა თრთოლვით ურბენს  
გარს მოჯარულ  
ქართლის შთა-ველს.  
ქარს მათი ხმა,  
სუნთქვა შთაქვს,  
ვინც სამშობლო განადიდა,  
დილაა თუ საღამოა —



ქართული  
საზოგადოებრივი  
საბავშვო ჟურნალი

დიდგორიდან, მარადიდან.  
ფრთებს ვმლი ბიჭი ნინველი და  
ქართველობას შევქმლემ, შგანი,  
ვარ მუხრანის დიდ ველიდან  
აფრენილი კესელ-ქარი  
და ფრთიანი შინდა რამიც,  
გვერდით — ტოლი შვიდიოდე,  
ჩაუსაფრდე დუქმანს გზაში,  
ვიფრენდე და მივიოდე.  
შეე რომ ამობრიალდება  
და შთაწმინდას შიადგება,  
შიმოფანტავს ნისლის ფარას,  
ძირს, კრწანისშიც, გაშლის კარავს,  
შთებს შეუსხნის ჩოხის დიღებს...  
შხის ნათელში მოპქუსს მტკვარი  
ტებილქართულად მოდიდინე,  
ტებილქართულად მოუბარი.  
იდიდინოს, იგალობოს  
მტკვარს გამოღმაც  
და მტკვარს ვაღმაც  
ტებილქართული საღადობო  
მარად, გმირმა ჩვენმა ხალხმა.



შხატვარი შაშა შარხული

# სტუმარი

მაკა კანდელაკი

დიდი ხნის წინათ, აღმოსავლეთის ერთ ქვეყანაში, ცხოვრობდა ობოლი და-ძმა. ერთი პატარა ქოხი ედგათ და მეტი არაფერი გააჩნდათ, თავს იმით ირჩენდნენ, რასაც კეთილი ნათესავები და მეზობლები გამოუგზავნიდნენ.

ერთხელ, დეკემბრის სუსხიან ღამეს, პატარებმა ძლივს დაანთეს ცეცხლი ტყეში შეგროვებული ფიჩხით. ბიჭუნა ძალიან ავად იყო და დასუსტებული იწვა ცეცხლთან, ერთი ნატეხი პური ჰქონდათ და იმასაც ვერ ჭამდა, თუმცა შიმშილით კუჭი ეწვოდა. არც და იყო უკეთეს ღლეში, მაგრამ ძმის სიყვარულით არც ის ეკარებოდა პურს. მოულოდნელად კარზე კაკუნის გაისმა და ვიღაცამ დაიძახა: — „შემიფარეთ მგზავრი ამ ცივ ღამეს!“ გოგონამ სტუმარს კარი გაუღო. ქოხში ძველმანებით შემოსილი შემცივებული და დაღლილი კაცი შემოვიდა. იგი მიესალმა ბავშვებს და მადლობა უთხრა. გოგონამ ცეცხლთან დასვა სტუმარი და კოცონის შუქმა გაანათა კაცის კეთილი სახე. როცა გათბა, მან ირგვლივ მიმოიხედა და მერე ნაღვლიანად შეხედა და-ძმას.

— სად არიან თქვენი მშობლები, პატარებო?

— ჩვენი დედიკო და მამიკო ცაში არიან. — დინჯად უპასუხა გოგონამ, — იქიდან გვიყურებენ და გველაპარაკებიან. ხანდახან ღამით მოდიან ხოლმე და გვეფერებიან, ოღონდ ახლა აქ არ არიან. იმეტომ რომ არ გვძინავს.


სტუმარმა აღერსიანად ჰკითხა გოგონას:

— შენ რა გქვია, პატარავ?

— მარიამი. — უპასუხა გოგონამ.

— ჩემს დედასაც მარიამი ჰქვია,

გაეხარა სტუმარს.

— მოგვიყვი შენს დედაზე.  ვა გოგონამ.

— ო, ჩემი დედა ძალიან კეთილი და ღამაზია, სწორედ ისეთი, როგორც თქვენი. მეც ძალიან ვუყვარვარ ჩემს დედას და თქვენხელა რომ ვიყავი, მეც სულ მეფერებოდა. ახლა კი ამ ქვეყანაზე დავდივარ და დედა შინ მელიოდება ხოლმე.



— შენი მამა სადღაა? — წვრილი ხმით ჰკითხა ბიჭუნამ.

— შენ რა გქვია? — ჰკითხა პასუხის მაგივრად სტუმარმა.

— მე ლუკა მქვია.

— ჩემი მამაც ცაში ცხოვრობს, ლუკა, როგორც თქვენი მშობლები. ისიც იქიდან მიყურებს და მელაპარაკება ხოლმე. — სტუმარი დაიხარა ბიჭუნასაკენ და აღერსიანად გადაუსვა თავზე ხელი. — ავადა ხარ? არა უშავს, ხვალ დილით სრულიად ჩანმრთელი იქნები.

— მართლა? — გაეხარდათ ბავშვებს. მარიამმა კი თქვა:

— იქნებ ხვალ დილით ჩვენი ჩიტუნიაც გამოჩანმრთელდეს. — და დაანახა სტუმარს კუთხეში დასკუპული, აბუზული ჩიტი. — ჩვენს კარებთან ვიპოვე, ფრთა მოტეხოდა და სულ გაუინულიყო. მე და ლუკა ვუვლიდით და ახლა ცოტა გამოკეთდა.

— თქვენი ჩიტუნაც აუცილებლად გამოჩანმრთელდება ხვალ, — თქვა სტუმარმა. — ახლა კი დროა, დავიძინოთ.

— მშვიერი ხომ არ დაწვები, — შეახსენა გოგონამ და პურის ნატეხი გაუწოდა. კაცმა თავზე ხელი გადაუსვა და უთხ-

რა: — არა, დიდი მადლობა, არ მშობი.

მალე ქოხში ყველას დაეძინა. დაეძინა პატარა ჩიტსაც. ძილში იგრძნო თითქოს ვიღაცამ ხელი გადაუსვა, მაგრამ გოგონა ეგონა და არ გაღვიძებია.

დილით, როგორც კი მზე ამოიწვერა, ბავშვებსაც გაეღვიძათ. და ჰოი, საოცრება, ლუკა საღალამათი წამოხტა ფეხზე. პატარებმა ირგვლივ მიმოიხედეს და გოცებისაგან პირი დააღეს; მათი ქოხი კოხტა სახლად გადაქცეულიყო, ფანჯრებს ფერადი მინები ჰქონდა, კედლები და ქერი ამ შუა ზამთარში უტკნობი ყვავილების მშვენიერი გირლანდებით იყო მორთული, უამრავი თაფლის სანთელი აჩახახებდა იქაურობას და მთელ სახლში ფიქისა და ყვავილების სურნელი იდგა. მაგიდაზე ახლადგამომცხვარ გემრიელ პურს ორთქლი ასდიოდა. ამ პურს რაც უფრო მეტს ჰამდნენ, მით უფრო მეტი რჩებოდა. მათი ჩიტუნიაც გამოჩანსადებული მხიარულად ჰიკვიკებდა. გახარებულმა ბავშვებმა სტუმარს დაუწუეს ძებნა, მაგრამ იგი უკვე წასულიყო.

... დიდი ხნის წინათ, აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში, უბრალო ხალხი ტკობით ყვებოდა ხოლმე ამ ამბავს.



## ღუბანი

ლია კობალაძე

პარლადი, პარლადე და, ვარაუტაყებთ სიმღერებს, სიყვარულით გვკაცნის დედა, როცა ეელს მოვიღერებთ. პარლადი, პარლადე და, ჩემს სმას მმის სმაც თუ ვრთვის, ჩვენ ორივეს, მამინ ვრთად, გვქვია მშების ღუბტი.

მხატვარი მანანა მორჩილაძე



თამაზ პანოიძე

მხატვარი **ნაღე ლომიძე**

ამერიკელი ბიჭუნა ედრეგონ ისტვუდ დე მელო (ნუ გაგიკვირდებათ მისი ორი სახელი — ახალდაბადებულს უცხოეთში არცთუ იშვიათად არქმევენ რამდენიმე სახელს) ჭერ მხოლოდ მეთორმეტე წელსია გადამდგარი (ტომ სოიერის ასაკი!); ჭიბეში კი სათამაშოების მაგიერ... უმაღლესი განათლების დიპლომი უდევს.

ედრეგონის ნიჭიერებაზე სასწაულებს ევებიან: პირველი სიტუვა თვენახევრისას წარმოუთქვამს, ორი წლისას ანბანი უსწავლია, სამისა უკვე წიგნებს კითხულობდა...

... შორეული ამერიკის დასავლეთის ულამაზესი შტატის — კალიფორნიის სახელგანთქმულ უნივერსიტეტში, ერთ მშვენიერ დღეს, ერთ-ერთი აუდიტორიის კარი რვა წლის ბავშვმა შეაღო.

— შენ ეი, წრიპა, მისამართი შეგეშალა. აბა, ახლავე მოუსვი აქედან. — შეაგება იქ მყოფმა სტუდენტმა. ედრეგონმა მშვიდად დადო მაგიდაზე თავისი სასკოლო პორტფელი, იქიდან უნივერსიტეტის ხელმძღვანელების ნებართვა ამოიღო და უდიერ დამხვდურს გაუწოდა:

— წაიკითხე, თუ, რასაკვირველია, კითხვა იცი...

ახლა კალიფორნიის უნივერსიტეტში ყველამ იცის, რომ ეს პატარა ბიჭი არაჩვეულებრივად ნიჭიერია. მას კოლეჯის მათემატიკის ფაკულტეტი სამ წელიწადში წარჩინების დიპლომით დაუსრულებია და უკან მოუტოვებია გაცილებით უფროსი ფაკულტეტელები.

ედრეგონს გაუჭირვებლად ჩაუბარებია უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებიც.

— სწავლაში არავითარი პრობლემები არ მაქვს, — ამბობს თურმე იგი. — უფრო — გამუდმებული მარტოობის ატანა მი-



კირს.

საქმე ისაა, რომ „მოზრდილ ძიებს“ არ აინტერესებთ ბიჭთან ურთიერთობა — ჭერ დედის რძე არ შეშრობია პირველ.

ამგვარად, ედრეგონს თვითონვე უნდა მოეველო თავისუფალი დროისათვის. მან დაიწყო პროგრამების დამუშავება კომპიუტერებისათვის (პროგრამა გამოთვლითი მანქანისათვის საგანგებოდ მოფიქრებული „ენა“, რომელიც უნდა მიაწოდო მას, რომ „აალაპარაკო“); როცა ბავშვი ამაზე მოგვიტხრობს, მის ხმაში სიამაყეზე უფრო სევდა გამოსჭვივის — მარტოობის თანამგზავრი. ვინ იცის, ეგებ ეს ედრეგონის ნიჭიერების საზღაურია?

ბიჭს შორივ მიზნად დაუსახავს შეისწავლოს ასტროფიზიკა და ჩასწვდეს სამყაროს კანონზომიერებებს. ოღონდ რომელი უნივერსიტეტი იკისრებს ახალ მისაღებ გამოცდაზე დაუშვას II წლის მათემატიკოსი? იგი ხომ ახლა მეხუთე ან მეექვსე კლასში უნდა დადიოდეს...

ედრეგონ ისტვუდ დე მელო — დავიხსოვოთ ეგ სახელი. იქნებ მან მომავალშიც არაერთხელ აალაპარაკოს სწავლული სამყარო...

# საბავშვო ქვეყნი

## მკლავოსობა

ნოდარ გუგუშვილი

ანტიკურ სამყაროს არც ერთ ქვეყანას არ ესმოდა სპორტის მნიშვნელობა ისე ღრმად, როგორც საბერძნეთს. ამ სიტყვების უზუყურ დასტურს წარმოადგენს ერთ პიტალო კლდეზე ამოკვეთილი ძველბერძნული შუკონება: „თუ გსურს ძლიერი იყო, — ირბინე, თუ გსურს ღამაზი იყო, — ირბინე, თუ გსურს ჭკვიანი იყო, — ირბინე“.

რბენა, ისევე როგორც ხტომა და ტყორცნა, მძლეოსნური სპორტის საფუძველია. ეს აზრი სხვაგვარადაც შეიძლება გამოვთქვათ: მძლეოსნობა თავისი შინაარსით კრებითი ცნებაა და აღამიანის ზემოწამოთვლილ თვისებათა ერთობლიობას გულისხმობს. წმინდა მძლეოსნური ტერმინებია ოლიმპიური დევიზის სიტყვებიც — „სწრაფად, მაღლა და ძლიერ“, და სპორტის მრავალსაკუთრვან ისტორიაზეც მიგვანიშნებს. ეს სიტყვები უდიდესი ბოპულარობით სარგებლობდა ანტიკურ სამყაროშიც და მომდევნო პერიოდებშიც.

მძლეოსნური რეკორდების ისტორიაც ისეთივე ძველი და მრავალსახოვანია, როგორც თავად მძლეოსნობა. ანტიკური წყაროების თანახმად ბერძენი ლიდასი ისე სწრაფად დარბოდა, რომ... კვალს არ ტოვებდა ქვიშაზე. არაეინ იცის, ზუსტად რას უნდა ნიშნავდეს, რომ ბერძენი ფაილი 16 მეტრზე გადახტა სივრცეში. არაეინ იცის იმიტომ, რომ 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელ ბობ ბიმონის მიერ სწორედ ამ სახეობაში დაფარებული მსოფლიო რეკორდი მხოლოდ 8 მეტრი და 90

სანტიმეტრი იყო და იგი დღემდე ურეკორდებს — ვერავინ გააუმჯობესა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ალბათ უმჯობესია თავი დავანებოთ ანტიკური სამყაროს ლეგენდებს. საინტერესო ამბები ჩვენს დროშიც ბევრი ხდება. ისტორიკოსთა მტკიცებით პირველი მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო მძლეოსნური რეკორდი ინგლისელ არჩიბლდ გლოვერს ეკუთვნის. 1965 წელს ხუთ მილზე რბენაში მას ხუთ წუთზე ნაკლები დრო უჩვენებია. 1760 წელს 28 წლის ამერიკელმა პოლკოვნიკმა, შემ-დგომში ამ ქვეყნის პრეზიდენტმა ჯორჯ ვა-შინგტონმა სივრცეზე ხტომაში 6 მეტრი და 78 სანტიმეტრი დასძლია და ამ სახეობაში



მხატვარი მანანა მორჩილაძე



მსოფლიო რეკორდების ისტორიას მისცა დასაბამი.

თანამედროვე მძლეოსნობის დაბადების თარიღად მიჩნეულია 1837 წელი, როცა ინგლისის ქალაქ რაგბში ჩატარდა პირველი ოფიციალური შეჯიბრება 2 კილომეტრზე რბენაში. 1864 წელს გაიმართა მძლეოსნობის ისტორიაში პირველი სამატრო შეხვედრა ორ ინგლისურ უნივერსიტეტს — კემბრიჯსა და ოქსფორდს შორის. სხვათა შორის, პირველი ოფიციალური მძლეოსნური კლუბიც ინგლისში შექმნილა (1865 წელი, ლონდონი).

ეს რაც შეეხება მსოფლიო მძლეოსნობის უმნიშვნელოვანეს თარიღებს. საქართველოში კი ... მეოცე საუკუნის დასაწყისში მძლეოსნობა მხოლოდ ცალკეულ ენთუზიასტთა გართობის საგანი იყო. საკავშირო ჩემპიონატებში პირველ წარმატებას საქართველოს მძლეოსნებმა 1924 წელს მიაღწიეს. შერე ეს სპორტი მასობრივად დაინერგა და გამარჯვებებიც შესამჩნევად მომრავლდა.

სპორტში საერთოდ და, კერძოდ, მძლეოსნობაში, ოსტატობის უმაღლეს საზომად ოლიმპიადებზე ნაჩვენები შედეგები ითვლება. საქართველოს სპორტსმენებს აქაც გაორჩეული წარმატება აქვთ მოპოვებული — ოთხი ოქროს, სამი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი. საქართველოს მძლეოსან ოლიმპიელთაგან პირველ რიგში რობერტ შველაყაძე და ვიქტორ სანუკი უნდა მოვიხსენიოთ. შველაყაძემ ქართულ მძლეოსნობას პირველი ოლიმპიური „ოქრო“ მოუტანა, სანუკემა კი ეს წარმატება სამ ოლიმპიადეზე გაიმყარა. სხვადასხვა დროს ოლიმპიადების პრიზორები, ზემოთდასახელებულ სპორტსმენთა გარდა, იყვნენ ლევან სანაძე, ნადეჟდა დვალისვილი, ნინო დუმბაძე, საიდა გუნბა და მათა ახარაშვილი.

ქართული მძლეოსნობის განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ელენე გოგიელსაც, მაგრამ ნინო დუმბაძე აქ საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ შესანიშნავმა ქართველმა სპორტსმენმა შვიდჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, თავისი დროისთვის არნახულ სიმაღლეზე აიყვანა იგი და მძლეოსნობის ისტორიაში დატოვა კვალი, როგორც ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მტყორცნელმა.

არც ზიანო  
და არც ფორტე —  
მიყვარს მხოლოდ  
სკეიტბორდი!  
ისე კოსტად  
დავსტრიალებ,  
შემთმანტრის  
მოული ზორტი!

არც ფაშლავა  
და არც ტორტი —  
მიყვარს მხოლოდ  
სკეიტბორდი!  
არაფერის  
არ მჭირდება  
მესი ნოგასი და  
კორტი!



19.3.21

საქ. საბ. კ. მარტოვი  
სახ. საბ. კ. მარტოვი  
მ. გ. მ. მ. მ.



ერთ დღეს გერმანელი მხატვარი რიც შეინდი თავის მეგობარ ფრანც შუბერტს ეწვია. ხელმოკლე „სიმღერების მეფეს“ სანოტო ქაღალდი გამოლივდა და ახლის საყიდლად ფული არ ჰქონდა. შეინდი მაგიდას მიუჯდა და ხაზვას შეუდგა. ფურცელს ფურცელზე ავსებდა; რომ კომპოზიტორისათვის რამდენიმე დღის მარაგი მაინც დაეკროვებინა.

მრავალი წლის შემდეგ მხატვარს ჰკითხეს, შენს რომელ ნამუშევრებს მიიჩნევ ველაზე მნიშვნელოვანადო. მან უპასუხა:

— შუბერტისათვის დამზადებულ სანოტო ხაზებსო.

მხატვარი ელჟარ აგოკაძე

### საპატიო მიზეზი

ერთხელ ცნობილ ფილოლოგ-გერმანისტს, მეზღაპრე ვილჰელმ გრიმს ფრანგი სტუდენტი ესტუმრა. უკვე სამი წელი გასულიყო, რაც სტუდენტი ბერლინში ცხოვრობდა, მაგრამ არც ერთი გერმანული სიტყვა არ იცოდა. გრიმს ეს გაუკვირდა და ჰკითხა:

— როგორ მოხდა, რომ ამდენ ხანს ჩვენი ენა ვერ შეისწავლეთ? თქვენი თანამემამულენი ამაზე უფრო მცირე ხანში სწავლობენ გერმანულ ენას!

— მეზოხლება და იმიტომ ვერ ვისწავლე, — მიუგო ახალგაზრდამ, — ცხენების ენაა!

— ახლა კი მივხვდი, რატომ უჭირთ ვირებს ამ ენის შესწავლა! — მიუგო გრიმმა.



# პერსონალი კვლევა

მატყარი გიორგი როინიშვილი



სოთა სოღაშენლი

## გამოსანა

აუ ძიხვდები, ეს კითხვა  
ნასუსს ითხოვს ორგვარს:  
დიდ წვიმაში რას ვსმარობთ?

და



## სახლის კითხვები

1. რომელ სარკეს არ წმენდენ?
2. რომელ კოშკებს აგებს ადამიანი უფრო მეტი ხალი-  
სით, უფრო ხშირად და უფრო ლაბაზად?
3. რომელი კითხვაა, რომელსაც შეუძლებელია დადე-  
ბითი პასუხი მოჰყვეს?
4. ვის შეუძლია დაბასხვლოს ხუთი ერთმანეთის მო-  
ვლბებული დღე, რომლებშიც ასო ო არ ერევა?
5. როგორ ლაბარაკობენ ინგლისელები გერმანელებ-  
ზე?
6. სად შეიძლება თივის გათიბვა?

## ჭიჭი

სამართმელოს ალკ მკ-ისა  
ღკ 3. 0. ღმეოვის სხხმეობის  
კიონერთა ორგანოგანოის  
რესპუბლიკური საბჭოს შურ-  
ნალი შემგოსკლასმეთა-  
პის.

გამოდის 1904 წლჟან.  
საქ. კე ცკ-ის გამომცემლობა.

მოღარო რედაქტორი  
რეკვზ ონანოშვილი

სარედაქციო კოლეჯია: ღმზრღ ამო-  
კამი, მანანა ამიამი, ღმზრღ ბაბუა,  
სმსიო გრიგორიამ, მერი ღმპოი-  
შვილი, სოლომონ ღმზრღანაშვილი,  
ღვილა მრამი, გულა ღმზრღამიამ, მა-  
შხალა მრამეოშვილი, ჟურნა ნაღ-  
რამი, მიმეოზ ნალაური (მ/მე.მღვიანი),  
გიპი ამულამ, გიპი ბიბინამი.

სამბატურო რედაქტორი  
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი  
ჰელი შარეთელი

მისამართო რედაქციის, გამომცემლობის,  
სტამბის-თბილისი, ღმნისი 14. ტელ:  
მა. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16;  
პ/მე. მღვიის 93-10-32, 93-98-18; სამხ.  
რედაქტორის-93-98-18; განყოფილებუ-  
ბის 93-98-19.

გაღაცა ასაწობად 30.11.89 წ., ხელმო-  
წერილია დასაბეჭდად 5.02.90 წ., ქა-  
ლადის ზომა 60x90/8, ფიზ. ნახ.  
ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შკვეთა  
№ 2589

ვლახ ნაბატი  
მმმმმმ მმრზმმმმმმისა

«Дилла» («Утро») — Ежемесячный  
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузин-  
ской Республканского Совета  
Всесоюзной пионерской организации  
им. В. И. Ленина, для младеклассни-  
ков, на грузинском языке.  
Отпечатано в типографии издатель-  
ства ЦК КП Грузии.  
Главный редактор Реваз Иванишви-  
ли (тел. 93-41-30).  
Адрес редакции и издательства:  
380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.  
Объем 2,5 печатных листа, тираж  
168.000. Заказ №2589



რომელია ამ ბატკნის დედა?